

ოპიოიდური დამოკიდებულების აგონისტებით მკურნალობის  
პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა

ანა როსტომაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## აბრევიატურის ჩამონათვალი

აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

ოამ - ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობა

ჯანმო - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

შიდსი - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

WHO – World Health Organization, ჯანმო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

NIDA – National Institute on Drug Abuse, წამალდამოკიდებულების ეროვნული

ინსტიტუტი

HBM – Health Belief Model, ჯანმრთელობის რწმენის მოდელი

## აბსტრაქტი

**შესავალი:** სამაგისტრო ნაშრომი ეხება ოპიოიდური დამოკიდებულების აგონისტებით მკურნალობის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა კმაყოფილების განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლას ჯანმრთელობის რწმენის მოდელზე დაფუძნებით. კვლევის სამიზნეა ოპიოიდური პრეპარატებით, მეთადონი და ბუპრენორფინით, მკურნალობის კმაყოფილება, ბენეფიციარების შეფასებით.

**მეთოდი:** კვლევისათვის შერჩეულ იქნა თვისებრივი მიდგომა, კერძოდ ინდივიდუალური ჩადრმავებული ინტერვიუები ოპიოიდური აგონისტებით მკურნალობაში ჩართულ პაციენტებთან და მკურნალ ექიმებთან, ჯამში: 14 ბენეფიციარი (7 ბენეფიციარი ბუპრენორფინის და 7 ბენეფიციარი მეთადონის ცენტრიდან, ასევე 2 ექიმი-ნარკოლოგი)

**შედეგები:** აღნიშნულმა კვლევამ შეაფასა პაციენტების რწმენები ოპიოიდური აგონისტებით, მათი მდგომარეობის სიმძიმე, ოპიოიდური პროგრამების სარგებელი და ბარიერები, ასევე ბენეფიციართა თვითფექტურობა.

**დასკვნა:** კვლევა ხაზს უსვამს თუ რა მნიშვნელობა აქვს ოპიოიდური აგონისტებით მკურნალობაში ბენეფიციართა, აღქმული ბარიერების, აღქმული სარგებელის გაცნობიერებას, თვითფექტურობის გაზრდას რათა გაუმჯობესდეს ოპიოიდური აგონისტური მკურნალობის (ოპი) პროგრამები. დასკვნის შედეგად მიღებული რეკომენდაციების განხორციელებით, ჯანდაცვის პროვაიდერებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ პაციენტების ჩართულობა ოპიოიდური პროგრამებში, რაც გამოიწვევს უკეთეს შედეგებს დამოკიდებულების ოპიოიდური აგონისტებით მკურნალობის პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** სუბოქსონი, მეთადონი, ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობა

## Abstract

**Introduction:** This master's thesis focuses on studying the factors determining beneficiary satisfaction in Opioid Agonist Treatment (OAT) programs, based on the Health Belief Model. The research aims to assess satisfaction with treatment using opioid medications, methadone and buprenorphine, from the beneficiaries' perspectives.

**Method:** A qualitative approach was selected for the study, specifically individual in-depth interviews with patients involved in opioid agonist treatment and their treating doctors. In total, 14 beneficiaries (7 from a buprenorphine center and 7 from a methadone center) and 2 addiction specialists were interviewed.

**Results:** The study evaluated patients' beliefs regarding their susceptibility, the severity of their condition, the benefits and barriers of OAT programs, as well as their self-efficacy.

**Conclusion:** The research highlights the importance of beneficiaries' awareness of perceived barriers and perceived benefits in opioid agonist treatment, as well as enhancing self-efficacy, to improve OAT programs. By implementing the recommendations derived from the conclusions, healthcare providers can significantly enhance patient engagement in OAT programs, leading to better outcomes in the process of opioid agonist treatment for addiction.

**Keywords:** Suboxone, Methadone, Opioid Agonist Treatment